

## არის მრავალხმიანობა მხოლოდ ადამიანური მოვლენა...

და შესაძლებელია თუ არა ისეთი ევოლუციური მოდელის შექმნა, რომელიც ადამიანის მრავალხმიანი სიმღერის წარმოშობის გაგებაში დაგვეხმარება?

მოხსენების პირველი ნაწილი ეძღვნება მრავალხმიანობას, რომელიც არსებობს უსულო საგნებისა და მოვლენების მიერ გამოცემულ სინქრონულ ბგერებში – მდინარის ხმიდან ტრანსპორტის ხმამდე. მეორე ნაწილში განხილულია ცხოველების ცხოვრებისა და აზროვნების განვითარება, რაც ზეგავლენას ახდენს იმაზე, თუ როგორ ახორციელებენ ისინი ვოკალიზაციას ანუ სიმღერას.

7000-ზე მეტი წლის წინ ინდოევროპულ ფუძე-ენაში ინგლისური სიტყვის “song”-ის შესატყვისი სიტყვა იყო “Sangw”. ეს გულისხმობს არტიკულაციის სხვადასხვა ადგილებიდან – ყელი, ტუჩები, სასა, ენა და კბილები, გამოცემული ბგერების სრულ გამოყენებას. ცხვირისმიერი ჟღერადობა გულისხმობს ცხვირისმიერი და უკანასასისმიერი ბგერების ერთობლიობას. ქართულ სიტყვას – სიმღერა აქვს მსგავსი სტრუქტურა და ყველა ბგერისა და ემოციის გამოყენების იგივე მექანიზმი.

სიმღერა შეიძლება განიმარტოს როგორც „მუსიკის შექმნა ხმით“ და სიტყვა music-ის ინდოევროპული ფუძე შესაძლოა აღნიშნავდეს „პირის ხელოვნებას“ – mouth-art.

ცხოველების ვოკალიზაციაში არსებობს პოლიფონიური სიმღერის ყველა ელემენტი. ამდენად ეს მოვლენა არ არის მხოლოდ ადამიანისათვის დამახასიათებელი. მიუხედავად ამისა, მას აქვს მხოლოდ 4 ადამიანური ასპექტი.

**პირველი.** ის აერთიანებს პოლიფონიისა და სიმღერის გაცილებით მეტ ელემენტს, ვიდრე ეს ცხოველებში გვხვდება;

**მეორე.** ის სრულდება შესრულებისათვის და ამოგდებულია ორიგინალური კონტექსტიდან;

**მესამე.** ის შესაძლოა შესრულდეს სამყაროზე ზეგავლენის მოხდენის მიზნით (წვიმის მოსაყვანად ან ზებუნებრივი ძალების დასამშვიდებლად);

**მეოთხე.** სიმღერები და ჟანრები ხშირად განიცდიან მრავალჯერად ცვლილებებს თავისი არსებობის მანძილზე, ან დროის შედარებით მოკლე პერიოდში.

გარდა ამისა, მხოლოდ ადამიანს შესწევს უნარი გადმოსცეს ან სხვას გადასცეს თავისი საკუთარი და სხვა ბგერები ნოტებით ან ხმოვანი ჩანანერით; მაგრამ ეს არ არის თავად სიმღერის თავისებურება.

ცხოველები გამოსცემენ პოლიფონიური სიმღერის სხვა ელემენტებს, მათ შორისაა დისონანსები, რესპონსორული კომუნიკაციები, გუნდები, და ცალკეული ინდივიდები რომლებიც გამოსცემენ გაბმულ, მრავალხმიან სიმღერებს. პოლიფონია შეიძლება წარმოიქმნას ვოკალიზაციის დამოუკიდებელი ხაზების სრულიად არაგამიზნული კომბინაციებიდან ცხოველთა ნებისმიერ ჯგუფში. ცალკეული ცხოველები, ან მათი ჯგუფები ნაწილობრივ ეპასუხებიან სხვების არსებობას (ან არარსებობას), და ნაწილობრივ დამოუკიდებლად ვოკალიზებენ სხვადასხვა ხმაურსა თუ სიტუაციაში. როდესაც ისინი ერთმანეთს შორის ამყარებენ კომუნიკაციას, ისინი ამდიდრებენ ვოკალიზაციას რიტმითა და ტონით – ისინი

მღერიან. თუ ისინი ერთად ყოფნის დროს ინარჩუნებენ საკუთარ, დამოუკიდებელ ხმიანობას, მაშინ წარმოიქმნება დისონანსები, რომელთა აღქმა ასტიმულირებს ენდოკრინულ სისტემას და მაშასადამე ემოციებს. ეს შეიძლება განიმარტოს როგორც „პოლიფონიური სიმღერა“. არცერთ სახეობას არ ახასიათებს ზემოწამოთვლილი ადამიანური ასპექტიდან ერთზე მეტი.

ამ ელემენტების შესწავლამ გვიჩვენა, თუ როგორ განვითარდა ადამიანის პოლიფონიური სიმღერა. ნაშრომში ჩამოთვლილია ზოგიერთი სასიცოცხლო მნიშვნელობის ელემენტი და მათი წარმოშობისა და გაერთიანების გზები.

**თარგმნა მამდა უპილავამ**